დმანისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება

ბრძანება:**ბ108. 1082333931**

თარიღი:**05/12/2023**

დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების (ავტოსატრანსპორტო საშუალებები) ელექტრონულ აუქციონზე გატანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.ა.“ და ,,ე.ე.“ ქვეპუნქტის, 115 - ე მუხლის პირველი პუნქტის, 117- ე მუხლის, ,,მუნიციპალური ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 ნოემბრის Nგ-109.109233325 განკარგულების და შპს ,,უძრავ-მოძრავი ქონების შემფასებელთა ჯგუფი - 777“-ის 2022 წლის 09 ნოემბრის N1-09.11/22 აუდიტორული დასკვნის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გატანილ იქნას ელექტრონულ აუქციონზე, დმანისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება (ავტოსატრანსპორტო საშუალება) დანართი N1-ის შესაბამისად.
2. ინფორმაცია ელექტრონულ აუქციონის ჩატარების შესახებ გამოქვეყნდეს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ვებგვერდზე WWW.eauction.ge
3. ელექტრონული აუქციონის ჩატარების ვადა განისაზღვროს 2023 წლის 6 დეკემბრიდან 2023 წლის 15 დეკემბრის 17:00 საათის ჩათვლით.
4. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 7 კალენდარული დღის ვადაში.
5. ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ოქმის გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღისა აუქციონში გამარჯვებული პირი დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას წარუდგენს მუნიციპალიტეტის ქონების შეძენის სრული ღირებულების გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს.
6. აუქციონში გამარჯვებულ პირსა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიას შორის შესაბამისი ხელშეკრულება გაფორმდეს ელექტრონული აუქციონის დასრულებიდან 22 (ოცდაორი) კალენდარული დღის ვადაში.
7. მუნიციპალიტეტის ქონების შემძენი ვალდებულია ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებისას, დადგენილ ვადაში გადაიხადოს მუნიციპალიტეტის ქონების სრული ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ გადაეცემა საკუთრების უფლება მუნიციპალიტეტის ქონებაზე, ხოლო ბე/უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია არ დაუბრუნდება და გაწეული ხარჯები არ აუნაზღაურდება.
8. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განახორციელების მერის მოადგილე თემური ზურაბიშვილი.
9. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბოლნისი, სულხან-საბას ქ. N113), მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კობა მურადაშვილი

დმანისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი